

შპს „ალნეო ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და აუდიტორთა პასუხისმგებლობები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალნეო ჯორჯია“-ს, ს/კ 406274437 (შემდეგში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის დაცვით (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მსს საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:
- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2020 წლის 15 მარტს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ.

დირექტორი

ფოლად ზარგაროვი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის.....	5
2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგება.....	6
2019 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6
2019 დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7
ზოგადი ინფორმაცია	8
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8
განცხადება შესაბამისობის შესახებ.....	8
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.....	9
ფული და ფულის ეკვივალენტები.....	9
ამონაგების აღიარება	9
სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები.....	10
მოგების გადასახადი	10
ძირითადი საშუალებები	10
არამატერიალურ აქტივები.....	10
აქტივების გაუფასურება.....	10
იჯარა.....	11
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	12
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
სავაჭრო ვალდებულებები.....	12
სესხები	12
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.....	12
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის.....	13
1. ამონაგები და სხვა შემოსავლები.....	13
2. დაბეგვრამდე მოგება.....	13
3. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	13
4. მოგების გადასახდის ხარჯი.....	14
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	14
7. ძირითადი საშუალებები	15
8. გადავადებული გადასახადი	15
9. მიმდინარე ვალდებულებები.....	15

10. საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები.....	15
11. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება	16
12. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	16
13.კაპიტალი	16
14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....	16
15. პირობითი ვალდებულებები.....	17
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17
17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	17
18. ფინანსური რისკები.....	17
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის

დასახელება	შენიშვნები	2019 წელი
აქტივები		2,512,227
მიმდინარე აქტივები		2,479,624
ნაღდი ფული	14	345,961.82
სავაჭრო მოთხოვნები	5	80,245.00
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	5	16,145.75
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	2,034,887.05
საგადასახდო აქტივი		2,384.03
გრძელვადიანი აქტივები		32603.36
ძირითადი საშუალებები	7	40,753.95
ძირითადი საშუალებების ცვეთა		-8,150.59
პასივები		2,512,227
კაპიტალი	13	776,296
სარეზერვო კაპიტალი		0.00
საწესდებო კაპიტალი		240000
აკუმულირებული მოგება-დაუფარავი ზარალი		0
მიმდინარე მოგება-ზარალი		536,295.56
ვალდებულებები		1,735,931.41
მიმდინარე ვალდებულებები		1,735,931.41
სავაჭრო ვალდებულებები	9	1,713,507.62
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	9	22,423.79
საგადასახდო ვალდებულებები		0.00
დარიცხული ვალდებულებები		0.00
მიღებული ავანსები		0
გრძელვადიანი ვალდებულებები		0
გრძელვადიანი სესხი		0.00

შპს “ალნეო ჯორჯია“-ს დირექტორი

ფოლად ზარგაროვი

7-17 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის

დასახელება	შენიშვნები	2019 წელი
აქტივები		2,512,227
მიმდინარე აქტივები		2,479,624
ნაღდი ფული	14	345,961.82
სავაჭრო მოთხოვნები	5	80,245.00
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	5	16,145.75
სასაქონლო-მასერიალური მარაგები	6	2,034,887.05
საგადასახდო აქტივი		2,384.03
გრძელვადიანი აქტივები		32603.36
ძირითადი საშუალებები	7	40,753.95
ძირითადი საშუალებების ცვეთა		-8,150.59
პასივები		2,512,227
კაპიტალი	13	776,296
სარეზერვო კაპიტალი		0.00
საწესდებო კაპიტალი		240000
აკუმულირებული მოგება-დაუფარავი ზარალი		0
მიმდინარე მოგება-ზარალი		536,295.56
ვალდებულებები		1,735,931.41
მიმდინარე ვალდებულებები		1,735,931.41
სავაჭრო ვალდებულებები	9	1,713,507.62
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	9	22,423.79
საგადასახდო ვალდებულებები		0.00
დარიცხული ვალდებულებები		0.00
მიღებული ავანსები		0
გრძელვადიანი ვალდებულებები		0
გრძელვადიანი სესხი		0.00

შპს "ალნეო ჯორჯია"-ს დირექტორი

ფოლად ზარგაროვი



7-17 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგება

დასახელება	შენიშვნა	2019 წელი
		თანხა
ამონაგები	1	3,181,591.82
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-2,142,841.59
საერთო მოგება		1,038,750.23
მიწოდების დანახარჯები	2	-15,789.01
საოპერაციო და ადმინისტრაციული დანახარჯები	3	-426,554.94
ცვეთა და ამორტიზაცია		-8,150.59
სულ საოპერაციო ხარჯები		-450,494.54
საოპერაციო მოგება		588,255.69
მოგება-ზარალი საკუთარ სხვაობიდან		-51,960.13
მოგება გადსახადამდე		536,295.56
მოგების გადასახადი 15%		0.00
მიმდინარე წლის მოგება		536,295.56

2019 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალის ცვლილება	დივიდენდი	გაუნაწილებელი მოგება	პერიოდის მ/ ზარალი	სულ კაპიტალი
საწყისი ნაშთი					0	
წლის შემოსავალი	240,000	0	0		536,296	
ნაშთი 31 დეკემბერი 2019					536,296	776,296

შპს “ალნეო ჯორჯია“-ს დირექტორი

ფოლად ზარგაროვი

7-17 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგება

დასახელება	შენიშვნა	2019 წელი
		თანხა
ამონაგები	1	3,181,591.82
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-2,142,841.59
საერთო მოგება		1,038,750.23
მიწოდების დანახარჯები	2	-15,789.01
საოპერაციო და ადმინისტრაციული დანახარჯები	3	-426,554.94
ცვეთა და ამორტიზაცია		-8,150.59
სულ საოპერაციო ხარჯები		-450,494.54
საოპერაციო მოგება		588,255.69
მოგება-ზარალი საკუთრივ სხვაობიდან		-51,960.13
მოგება გადსახადამდე		536,295.56
მოგების გადასახადი 15%		0.00
მიმდინარე წლის მოგება		536,295.56

2019 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საწესდებო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალის ცვლილება	დივიდენდი	გაუნაწილებელი მოგება	პერიოდის მ/ ზარალი	სულ კაპიტალი
საწესდებო ნაშთი				0	
წლის შემოსავალი	240,000	0	0	536,296	
ნაშთი 31 დეკემბერი 2019				536,296	776,296

შპს "ალნეო ჯორჯია"-ს დირექტორი

ფოლად ზარგაროვი



7-17 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2019 დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2019 წელი
მოგება დაბეგვრამდე	536,296
კორექტირებები	
ცვეთა	8,151
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე:	544,446
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება:	(395,346)
მარაგის ზრდა	(2,034,887)
დებიტორული დავალიანების ცვლილება	(96,391)
კრედიტორული დავალიანების ცვლილება	1,735,931
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	149,100
საინვესტიციო საქმიანობა	
ძირ. საშუალებების შესყიდვაზე გადახდილი თანხაი თანხა	(35,202)
ძირ. საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხა	3,860
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(31,342)
საფინანსო საქმიანობა	
სესხის აღება	
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	240,000
სესხის ძირის დაფარვა	
საწესდებო კაპიტალის შემცირება	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	240,000
სულ წმინდა ფული	357,758
საწყისი ნაშთი სალარო და ბანკი	-
პერიოდის სალდო	357,758
საკუროს სხვაობის ეფექტი	(11,796)
საბოლოო ნაშთი სალარო და ბანკი	345,962

შპს “ალნეო ჯორჯია“-ს დირექტორი

ფოლად ზარგაროვი

7-17 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2019 დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2019 წელი
მოგება დაბეგვრამდე	536,296
კორექტირებები	
ცეცხლი	8,151
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე:	544,446
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება:	(395,346)
მარაგის ზრდა	(2,034,887)
დებიტორული დავალიანების ცვლილება	(96,391)
კრედიტორული დავალიანების ცვლილება	1,735,931
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	149,100
საინვესტიციო საქმიანობა	
ძირ. საშუალებების შესყიდვაზე გადახდილი თანხაი თანხა	(35,202)
ძირ. საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხა	3,860
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(31,342)
საფინანსო საქმიანობა	
ხესხის აღება	
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	240,000
ხესხის ძირის დაფარვა	
საწესდებო კაპიტალის შემცირება	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	240,000
სულ წმინდა ფული	357,758
საწყისი ნაშთი სალარო და ბანკი	
პერიოდის სალო	357,758
საკურსო სხვაობის ეფექტი	(11,796)
საბოლოო ნაშთი სალარო და ბანკი	345,962

შპს "ალნეო ჯორჯია"-ს დირექტორი

ფოლად ზარგაროვი




7-17 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ზოგადი ინფორმაცია

შპს “ალნეო ჯორჯია“, საინდეფიკაციო კოდი 406274437 (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2019 წლის 13 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, სოფელი ფონიჭალა, გურამ პატარაიას ქუჩა, N 16.

შპს “ალნეო“ არის საყოფაცხოვრებო და ელექტროტექნიკის მსხვილი იმპორტიორი და როგორც საბითუმო ასევე საცალო მოვაჭრე, დაარსებული საქართველოში. იგი ბითუმად გაყიდვებს ახორციელებს სასაწყობი ფართიდან და ნაწილობრივ სამაღაზიე ფართიდან, ხოლო საცალო გაყიდვები ხორციელდება მარკეტების ქსელის მსვეობით რომელიც მოიცავს ქალქებს თბილისი: ორი მარკეტი, ბათუმი ერთი მარკეტი. კომპანია თავის მომხმარებლებს სთავაზობს პროდუქტების ოპტიმალურ კომბინაციას, დამხმარე მოწყობილობებსა და სერვისებს.

2019 წლის 31 დეკემბრის ბოლოსთვის მხარეებს შორის განსაზღვრული წილებრივი მფლობელობა მოცემულია ცხრილში:

	2019 წელი
არიფ ნამაზოვ, აზერბაიჯანი P3858199,	100%

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს რომ ზემოდ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა დაარსების დღიდან. მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების

მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კონვერტაციის ხარჯი“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო	100 რუსული რუბლი
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095	4,6423

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. სხვა მწარმოებლებზე ამონაგების

შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და დღგ-ს გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. ვინაიდან 2016 წელს საგადასახადო კანონმდებლობა შეცვალა და მოგების გადასახადის ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდდამხოვლად დივიდენდის გაცემის დროს(ე. წ. ესტონური მოდელი), ამიტომ მოგების გადასახდი ვალდებულება არ წამოიქმნება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება 20%-იანი წლიური განაკვეთები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები არ არის.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. შპს “ალნეო ჯორჯია“-ში არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა.

კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა. იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საქონლის მიღება ხდება საინვოისო ღირებულებით რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და დასაწყობების ხარჯები. პერიოდის ბოლოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი“ მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურეობის ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

კომპანიის მიერ ზოგიერთ გაყიდულ საქონელს ახლავს მწარმოებლის გარანტია, რომ მას საგარანტიო ვადის განმავლობაში არ აღმოაჩნდება საწარმოო წუნი. რადგან გარანტია გაცემულია მწარმოებლის და არა შპს “ალნეო ჯორჯია“-ს მიერ, საგარანტიო მომსახურება ხორციელდება მწარმოებელი კომპანიის მიერ ავტორიზებულ სერვის ცენტრებში და შესაბამისად კომპანიის მიერ ასეთი ტიპის მომსახურების ხარჯად აღიარება არ ხდება. რაც შეეხება უშუალოდ კომპანიის მიერ გაცემულ გარანტიას კომპანია ასეთ სერვისს მომხმარებელს არ სთავაზობს. კომპანია გაყიდვიდან 3 დღის ვადაში მყიდველს უცვლის პროდუქციას წუნის აღმოჩენის შემთხვევაში.

1. ამონაგები და სხვა შემოსავლები

ამონაგები მოიცავს შემოსავლებს რეალიზაციიდან, როგორც საცალო ასევე მცირე საბითუმო მყიდველებისთვის, ხოლო სხვა შემოსავალი ავტომატური რეალიზაციიდან შემოსულ თანხებს

	2019 წელი
	ლარი
საქონლის რეალიზაცია	3,176,744
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	4,847

2. დაბეგვრამდე მოგება

დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას ჩართულია შემდეგი ხარჯები:

	2019 წელი
	ლარი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2,142,842
მიწოდების დანახარჯები	-15789.01
	-426554.94
	-8150.59
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან	-51960.13

3. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

თავის მხრივ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები სედგება:

	2018 წელი
	ლარი
საპენსიო ხარჯი	-3,482
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	-211,258
საიჯარო ქირა	-184,928
საკანცელარიო ხარჯები	-2,337
კომუნალური ხარჯები	-1,089
კომუნიკაციის ხარჯები	-598
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	-1,020
ელექტროენერგია და გაზი (საერთო-ადმინისტრაციული)	-1,204
საგადასახადო ხარჯები	-169
საბანკო ხარჯები	-11,439
საერთო დანიშნულების რემონტის ხარჯები	-5,953
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება	-2,877
საქველმოქმედო ხარჯები	-200

შენიშვნა: შრომის ანაზღაურება მოიცავს როგორც ხელფასს აგრეთვე დროებით დაქირავებულის ანაზღაურებას

4. მოგების გადასახდის ხარჯი

	2019 წელი
	ლარი
მიმდინარე გადასახადი	0
გადავადებული გადასახადი	(0)

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019 წელი
	ლარი
მოთხოვნები იურუდიულ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	80,245
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-
მოთხოვნები ავანსად გადახდილი თანხებიდან	16,146

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

2019 წელი

	ლარი
საქონელი საწყობში	1,624,840
საქონელი საცალო ვაჭრობის ქსელში	408,709
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	1,338

7. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების ჩაშლა სახეობების მიხედვით

	ნაშთი 01.01.2019	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2019
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	0	2304.23	-	2304.23
ავეჯი	0	1578.47	-	1578.47
ინვენტარი	0	804.14	-	804.14
სარეკლამო საშუალებები	0	1400	-	1400
სხვა ავტოტრანსპორტი	0	29611.87	1694.92	27916.95
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	0	6750.16	-	6750.16

8. გადავადებული გადასახადი

კომპანიას გადავადებული გადასახდის ვალდებულება არ ერიცხება

9. მიმდინარე ვალდებულებები

	2019 წელი
	ლარი
მომწოდებლიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულება	1,713,507.62
სხვა მიკლევადიანი ვალდებულებები	22423.79

10. საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები

საგარანტო ანანრიცხი არ შექმნილა, რადგან საქონელი იყიდება მწარმოებელი გარანტიით

11. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების გალდებულება

კომპანიის დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს გალდებულება, რომელიც ეფუძნება მომსახურე პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებას შეადგენს: 2019 წლის 31 დეკემბრისთვის 0 ლარს (დაერიცხა 211,258 ლარი, გადახილ იქნა 211,258 ლარი)

12. ჩვეულებრივი იჯარის გალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს საოფისე, სამაღაზიო და სასაწყობო ფართი. იჯარის ხელშეკრულება საშუალო ვადაა ხუთი წელი. ზოგიერთი ხელშეკრულების ვადაა 6 ან 11 თვე, რომელიც ავტომატურად გრძელდება. თვეში ერთხელ ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა. ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად შეადგენს 2019-ში 184,928 ლარს.

13. კაპიტალი

ქვემოთ გთავაზობთ კაპიტალში ცვლილების დეტალიზაციას

	საწესდებო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალის ცვლილება	დივიდენდი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2018				პერიოდის მ/ ზარალი	
წლის შემოსავალი	240,000	0	0	0	
ნაშთი 31 დეკემბერი 2019				536,296	
				536,296	776,296

14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2019 წელი ლარი
ფულადი სახსრები საღაროში	27,256
ფული საბანკო ანგარიშებზე	318,706
სულ	345,962

15. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეს შორის ოპერაციები ფიქსირდება. სამეურნეო ოპერაციები განხორციელებულია საბაზრო ფასებით.

18. ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. ესენია: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას. სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. თუ გავითვალისწინებთ იმას რომ კომპანიის მომწოდებლებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობა არის უცხოელი მომწოდებელი, მაგრამ საქონლის შენა ხდება წინასწარი გადხდის პირობით რაც ნიშნავს რომ კომპანია არ ექვემდებარება კრედიტორული დავალიანების გადაფასებით გამოწვეული ფინანსური რისკებს. თუმცა აუცილებელია სარეალიზაციო პროდუქციის ფასების სწორად დადგენა, რათა არ მოხდეს საბრუნავი თანხების განუზომელი ზრდა შესასყიდი პროდუქციის ლარაებში ღირებულების გაზრდის გამო

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2020 წლის 15 მაისს.

შპს “ალნეო ჯორჯიას“-ის დირექტორი

ფოლად ზარგაროვი

15. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეს შორის ოპერაციები ფიქსირდება. სამეურნეო ოპერაციები განხორციელებულია საბაზრო ფასებით.

18. ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. ესენიას სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას. სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. თუ გავითვალისწინებთ იმას რომ კომპანიის მომწოდებლებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობა არის უცხოელი მომწოდებელი, მაგრამ საქონლის შენა ხდება წინასწარი გადხდის პირობით რაც ნიშნავს რომ კომპანია არ ექვემდებარება კრედიტორული დავალიანების გადაფასებით გამოწვეული ფინანსური რისკებს. თუმცა აუცილებელია სარეალიზაციო პროდუქციის ფასების სწორად დადგენა, რათა არ მოხდეს საბრუნავი თანხების განუზომელი ზრდა შესასყიდი პროდუქციის ლარაებში ღირებულების გაზრდის გამო

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2020 წლის 15 მაისს.

შპს "ალნეო ჯორჯიას"-ის დირექტორი

ფოლად ზარგაროვი

